საქართველოს სამხატვრო აკადემია

სახალხო განათლების კომისრის ნებართვით თბილისში დაარსდა „საქართველოს სამხატვრო აკადემია" აგებული ცოცხალ ბუნების შესწავლის პრინციპზედ, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს პლასტიკური ხელოვნების (სახვითი) ყველა დარგების სწავლას საქართველოში.

ამ აზრის განსახორციელებლად სამხატვრო აკადემიას უფლება აქვს:

ა) მოაწყოს პლასტიკური ხელოვნების ყველა დარგების პრაქტიკულად შესასწავლად სახელოსნოები (სტუდიები) ხატვისა, ფერებით წერისა, ქანდაკების, ხუროთმოძღვრების და მხატვრულ-ტექნიკური სახელოსნოები.

ბ) მოაწყოს ლექციები ხელოვნების ყველა თეორიულ და ტექნიკურ საგნებზედ

გ) მოაწყოს ადგილობრივ მეცადინეობა ჩვენი ძველი ხელოვნების, ბუნების და ხალხის ზნეჩვეულების შესასწავლად.

დ) დააარსოს აკადემიასთან აკადემიური ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

ე) დანიშნოს პრემიები საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებისათვის.

ვ) მოაწყოს კურსები საქართველოს სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

პლასტიური ხელოვნების ყოველ დარგის სახელოსნოებს ჰყავს განსაკუთრებული ხელმძღვანელი და ყოველ დარგს თეორიიდან თავისი ლექტორი. ხელმძღვანელნი და ლექტორნი ერთად შეადგენენ სამხატვრო აკადემიის საბჭოს, რომელიც სრულიად ავტონომიურია

საბჭოს ფუნქციას შეადგენს აკადემიის პედაგოგიური, ადმინისტრატიული და სამეურნეო გამგებლობა.

საბჭო ირჩევს რექტორს და პრორექტორს ერთი წლის ვადით, რომელთაც ამტკიცებს მთავარი სახელოვნო კომიტეტი და განათლების სახალხო კომისარი.

სამხატვრო აკადემიაში მიიღებიან ყველანი საშუალო განათლებით, გარდა ამისა დაშვებულნი იქნებიან თავისუფალნი მსმენელნი.

პირველი წელი მოწაფის სახელოსნოში ყოფნისა, ითვლება საცდელად რომლის შემდეგომ ხელმძღვანელს შეუძლია დაითხოვოს მოწაფე თავის სახელოსნოდან.

აკადემიაში ყოფნის დრო განსაზღვრულია 10 სემესტრით. აკადემია დასრულებულთ ეძლევათ მოწმობა, აკადემიაში გავლილ საგნების და ლექციების აღნიშვნით.

მასწავლებელთა კურს დამთავრებულთ, სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ეძლევათ მოწმობა ხატვის მასწავლებლობისა.

სამხატვრო აკადემიაში სწავლა ფასიანია.

სამხატვრო აკადემიის ყოველივე ხარჯი იფარება განათლების სახალხო კომისარიატის საშუალებებიდან.

აკადემიის სპეციალური თანხას შეადგენს მოსწავლეთაგან შემოტანილი სწავლის ფული, შემოწირულებანი და სხვანი.

სპეციალური თანხა იხარჯება სამხატვრო აკადემიის საბჭოს დადგენილებით.

დამტკიცებულია სამხატვრო აკადემიის პროფესორთა შემდეგი შტატი: 1) ლანსერე ე. ე. 2) ნიკოლაძე იაკ. ივ., 3) კალგინი ი. ნ. 4) გაბაშვილი გ. ი. 5) ხმელევსკი გ. ლ. 6) ჩუბინაშვილი გ. ნ. 7) ნათიშვილი ალ. დ. 8) გრინევსკი გ. თ. 9) შარლემანი ო. ა. 10) ტატევოსიანი ე. მ. 11) შტერლინგი ო. ი. 12) შებუევ ბ. გ. 13) სარქისიან გ. ა. 14) სკლიფასოვსკი ნ. ვ. 15) აჯემოვა ო. ხ. 16) ფოგელ ბ. ა. 17) ალაძე ნ. დ. (ხელოსანი).

აკადემია მოთავსებულია დროებით გრიბოედოვის ქ. № 24.